## შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა "ინტელექტ-პლიუსის" ერთწლიანი(2024 წ.მაისი-2025 წ.აპრილი) სამოქმედო გეგმის  ანგარიში

| სტრატეგიული მიზანი | ამოცანა | აქტივობის აღწერა | განხორციელების პერიოდი | | | | | | | | | | | | მოსალოდნელი შედეგი | რესურსი | პასუხისმგებელი პირი/ორგანო | შესრულდა/ნაწილობრივ შესრულდა/არ შესრულდა | შესრულებული სამუშაოების მოკლე აღწერა(შინაარსი) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | V | VI | VII | VIII | IX | X | XI | XII | I | II | III | IV | | | | | |
| | სკოლის პერსონალისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისათვის აუცილებელი საჭიროებების დადგენა; | პერსონალის განვითარების საჭიროებათა კვლევა დიფერენცირებულად(პედაგოგების სეგმენტი ცალკე, დირექცია-ადმინისტრაციის-ცალკე, დანარჩენი პერსონალის-ცალკე) | * | * | | | * | * | | | | | | | კვლევის შედეგების გათვალისწინებით შემუშავებული სამოქმედო გეგმა | სკოლის შიდა ინტელექტუალური და ფინანსურ-მატერიალური რესურსი. | სკოლის დირექცია | ნაწილობრივ შესრულდა | 2024 წლის სექტემბერ-ოქტომბერში განხორციელდა პერსონალის განვითარების საჭიროებათა კვლევა(მასწავლებლებისთვის ჩატარდა სექტემბერში,დირექცია-ადმინისტრაციის და ტექნიკური პერსონალისათვის ჩატარდა ოქტომბერში). სამუშაოები ჩატარდა სკოლის დირექტორის ინდ.აქტით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ. გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფმა პედაგოგების მიმართულებით შეიმუშავა ერთწლიანი გეგმა, დანარჩენი პერსონალისთვის მხარდაჭერა განხორციელდა ზეპირად შედგენილი გეგმის  საფუძველზე. |
| | მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებების კვლევის საფუძველზე, მათი განვითარებისთვის საჭირო ტრენინგების, სემინარების, სამუშაო შეხვედრების დაგეგმვა | საჭიროებების კვლევა, ინფორმაციის მოძიება და გავრცელება(სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის) | | | | | | * | * | | | | | | მხარდაჭერის ამუშავებული მექანიზმი(მიმდინარეობს მხარდაჭერის პროცესი) | 1.სკოლის ადამიანური რესურსი. 2.სკოლის ფინანსური რესურსი. 3.მოწვეული სპეციალისტები | სკოლის დირექცია. სკოლის ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი | შესრულდა | ჩატარებული კვლევის საფუძველზე გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით, 2024 წლის ოქტომბერსა და ნოემბერში დაიგეგმა მხარდამჭერი ღონისძიებები სკოლის პერსონალის, განსაკუთრებით მასწავლებლების პროფესიული განვითარების მიზნით. მასწავლებელთა ნახევარს გააჩნია სწავლების დიფერენცირებული მეთოდის პრაქტიკული გამოყენების საჭიროება. მხარდაჭერის აღმოჩენის მიზნით გამოიკვეთა 6 ძირითადი მიმართულება. ჯგუფებს ჩაუტარდათ ტრენინგები, ასევე, გამოყენებული იქნა ადგილობრივი რესურსი(წარმატებული პრაქტიკის გაზიარების მიზნით). |
| | მაღალი კვალიფიციური კადრების შენარჩუნება და მოზიდვა | საჭიროების მიხედვით, კადრების მოზიდვა ღია კონკურსის მეშვეობით | | | | * | * | * | | | | | | | სკოლის შიდა ხარისხის ზრდადი განვითარების უზრუნველყოფა | სკოლის შიდა მატერიალური რესურსი | სკოლის დირექცია-ადმინისტრაცია | შესრულდა | სკოლას შენარჩუნებული ჰყავს კვალიფიციური კადრები. 2024 წლის სექტემბერში სკოლამ ღია კონკურსის წესით მიიღო ორი პედაგოგი. |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **სკოლის ინტელექტუალური რესურსის, მათ შორის პედაგოგების პროფესიონალიზმის მზარდი განვითარება** | ადგილობრივ დონეზე, კონფერენციებსა და სხვა საგანმანათლებლო ღონისძიებებში მასწავლებელთა ჩართულობის ხელშეწყობა. **სკოლის თაოსნობით მსგავსი ღონისძიებების ადგილზე ორგანიზება** | მასწავლებელთა მუდმივი ინფორმირება და წამახალისებელი გარემოს შექმნა ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით | | | | | * | * | * | | | | | | მოტივირებული მასწავლებლები საგან წარმოდგენილი ინიციატივები | სკოლის ინტელექტუალური, ინფრასტრუქტურული და მატერიალური რესურსი | სკოლის დირექცია-ადმინისტრაცია. პედაგოგიური საბჭო, კათედრები | ნაწილობრივ შესრულდა | სკოლამ ჩაატარა მასწავლებელთა შიდა კონფერენცია საზოგადოებრივ და საბუნებისმეტყველო საგნობრივი ჯგუფების მიმართულებით. სხვა სკოლების მასწავლებლები მოწვეულნი არ ყოფილან, არც ჩვენი სკოლის მასწავლებლებს მიუღიათ მონაწილეობა სხვა სკოლების კონფერენციებში. |
| | მასწავლებელთა კონსულტირება პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე | კათედრების ფუნქციების გაძლიერებისათვის პედაგოგიური საბჭოს გააქტიურება | | * | | | * | * | * | | | | | | კალენდარული წლის განმავლობაში მინიმუმ 2 სტატუსამაღლებული მასწავლებელი | სკოლის შიდა ადამიანური და ფინანსური რესურსი | სკოლის დირექტორი. სკოლის პედაგოგიური საბჭო | შესრულდა | საგნობრივი კათედრები მანამდეც ასრულებდნენ თავიანთ ფუნქციებს, მაგრამ ნაკლებად ხდებოდა მათ სხდომებზე განხილული მნიშვნელოვანი საკითხების პედაგოგიური საბჭოს ფორმატში გადმოტანა და წარმატებული პრაქტიკის გაზიარება, ასევე, არსებული გამოწვევების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრის გზების მოძებნა. ასეთი ტიპის შეხვედრები უფრო ინტენსიური გახდა. |
| | მასწავლებლებს შორის გამოცდილების გაზიარება, რეკომენდაციების შემუშავება სწავლასწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიებისა და მიდგომების დანერგვასთან დაკავშირებით, მასწავლებელთა კოორდინირებული მუშაობა | კათედრების/მასწავლებელთა საინიციატივო ჯგუფის მიერ შიდა შეხვედრების სისტემატური ორგანიზება, სხვა სკოლების კოლეგა მასწავლებლების მოწვევა, პროფილურ სკოლებთან(ქვეყანაში და მის გარეთ) თანამშრომლობითი სახის მემორანდუმების გაფორმება | | | | | * | * | * | | | | | | მიღებული ცოდნის და გამოცდილების დანერგვა სასკოლო ცხოვრებაში | სკოლის შიდა ადამიანური და ფინანსური რესურსი | სკოლის დირექტორი. სკოლის პედაგოგიური საბჭო.ხარისხის მართვის და განვითარების ჯგუფი | ნაწილობრივ შესრულდა | მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებელთა მიერ ურთიერთგამოცდილების გაზიარება უფრო ეფექტური გახდა, ვერ მოხერხდა სხვა სკოლებთან კავშირის დამყარება, არც თანამშრომლობითი სახის მემორანდუმები გაფორმებულა |
| | ადამიანური რესურსების შეფასების სისტემის დანერგვა | სკოლის მიერ შემუშავებული პერსონალის შეფასების მექანიზმის ამუშავება | | * | | | * | * | | | | | | | ხარისხის განვითარების მდგრადობა, შეფასების პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია | | სკოლის დირექტორი. ადმინისტრაცია | ნაწილობრივ შესრუ | მასწავლებლების და კლასის დამრიგებელბის საქმიანობის შეფასება მოხდა მოსწავლეთა ანონიმური გამოკითხვის მონაცემებზე დაყრდნობით, რის შედეგად საუკეთესო მასწავლებლები სიგელით და ფულადი პრემიით დაჯილდოვდნენ. |
| | წახალისების სისტემის დანერგვა | სკოლის მიერ შემუშავებული პერსონალის წახალისების წესის ამოქმედება | | * | | | * | * | * | * | * | * | * | * | წახალისების სისტემის ამუშავების დამადასტურებელი დოკუმენტაცია | სკოლის ბიუჯეტი | სკოლის დირექტორი. ხარისხის მართვის ჯგუფი | შესრულდა | სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალის წახალისების წესი, რომელიც წარმატებით დაინერგა. ამ წესის საფუძველზე მასწავლებლები და დანარჩენი პერსონალის წევრები დაჯილდოვდნენ მადლობის სიგელებით(მადლობის გამოცხადება ხდება დირექტორის ბრძანებით), ასევე ერთჯერადი ფულადი პრემიით. |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სწავლა-სწავლების შედეგობრივი ხარისხის ამაღლება | სასწავლო პროცესის მუდმივი მხარდაჭერა და  კონტროლი | 1.სასწავლო პროცესის გაუმჯობესების საჭიროებათა კვლევა.2.მხარდაჭერის მექანიზმების შემუშავება და მონიტორინგის ფორმის შერჩევა. | • | • | | | • | • | • | • | | | | | სასწავლო პროცესის წარმართვა გამოვლენილ საჭიროებათა გათვალისწინებით | სკოლის ადამიანური და მატერიალური რესურსი | სკოლის დირექცია და პედაგოგიური საბჭო | შესრულდა | სკოლის დირექტორის ინდ.აქტის საფუძველზე შედგენილი ჯგუფის მიერ, 2024 წლის ოქტომბერი-ნოემბრის პერიოდში განხორციელდა კვლევა სასწავლო პროცესის უკეთ წარმართვის მიზნით, გამოიკვეთა საჭიროებები სასკოლო წლიური გეგმის ესგ-სთან მორგების,  საგნობრივი კურიკულუმების დახვეწისა და სასწავლო პროცესის მონიტორინგის ფორმების შერჩევა-განხორციელებასთან დაკავშირებით. |
| | მე-3 თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა | სასკოლო კურიკულუმების შემუშავება მე-3 თაობის ესგ-ს მიხედვით | • | • | | | • | | | | | | | | რევიზირებული და მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული სასკოლო კურიკულუმები | პედაგოგიური საბჭო, კათედრები | სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო აღმზრდელობის დარგში. კათედრების ხელმძღვანელები | შესრულდა | 2023/24 სასწ.წლის დასასრულს, ივნისის თვეში,  კათედრების მიერ განხორციელდა საგნობრივი კურიკულუმების რევიზია. გამოიკვეთა გარკვეული სახის ხარვეზები, კერძოდ, მასწავლებელთა გარკვეული ნაწილი არ იცნობდა ესგ-თი გათვალისწინებული სასწავლო საგნების სტანდარტს, კურიკულუმები არ ეფუძნებოდა ამ სტანდარტების მოთხოვნებს. 2024/25 სასწ.წლისთვის შემუშავებული კურიკულუმები გაცილებით უკეთესია, თუმცა კვლავ საჭიროებს გაუმჯობესებას(ამის საჭიროება აჩვენა მონიტორინგმა) |
| | საგნობრივ ოლიმპიადებსა და სასწავლო შემოქმედებით კონფერენციებში მონაწილეობის მიღების ხელშეწყობა | ინფორმაციის მოძიება და მოსწავლეებისათვის შეთავაზება. წამახალისებელი გარემოს შექმნა. | | | | | • | • | • | • | • | • | • | • | ოლიმპიადებსა და კონპერენციებში მონაწილეობის ამსახველი მასალების განთავსება სკოლის ელექტრონულ სივრცეში(ვებ.გვერდზე), შიდა საგამოფენო სტენდის მოწყობა | სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ელექტრონული და საბიბლიოთეკო რესურსი | სკოლის დირექცია-ადმინისტრაცია. კლასების დამრიგებლები | შესრულდა | მოსწავლეებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს ეროვნულ ოლიმპიადაში და შეძლეს მე-2 ტურში გადასვლა. იგეგმება მეტი აქტივობების განხორციელება უკეთესი შედეგების მიღწევის მიზნით. ჩატარდა შიდასასკოლო ოლიმპიადა მათემატიკაში. |
| | მოსწავლეებისთვის მრავალფეროვანი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების შეთავაზება | მოსწავლეთა ინტერესის სფეროს კვლევა.კვლევის შედეგების შიდა სასკოლო განხილვა და შეთავაზებისათვის წინადადებათა პაკეტის მომზადება | | • | | | • | | | | | | | | სკოლის არაფორმალური განათლების მიწოდების ბაზის ფორმირება(სერვისის მიწოდების აწყობილი სისტემა) | სკოლის ფინანსურ-მატერიალურ-ტექნიკური რესურსი. | დირექცია.პედაგოგიური საბჭო | ნაწილობრივ შესრუ | სკოლის მშობელთა კომიტეტთან კომუნიკაციის შედეგად დადგინდა მოსწავლეების ქართული და ინგლისური ენების გაძლიერებული სწავლების საჭიროება. ამისათვის 2024/2025 სასწავლო წელს სკოლამ ცვლილება შეიტანა საათობრივ ბადეში:დაამატა ინგლისური ენის საათები ზოგიერთ კლასში,ხოლო ყველა მსურველს შსთავაზა ქართული და ინგლისური ენის უფასო ფაკულტატივი. |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | მოსწავლეთა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრთა გამოკითხვა სასწავლო პროცესთან დაკავშირებით მათი მოსაზრებების, იდეების, საჭიროებების კვლევის მიზნით | გამოკითხვის ფორმატის შეთანხმება და განხორციელებისათვის საჭირო აქტივობების დაგეგმვა | • | | | | | | | | | | | | სასკოლო საზოგადოების ჩართულობის დამადასტურებელი მონაცემები(ბეჭვდური, ფოტო-ვიდეო და ა.შ) | სკოლის მატერიალურ-ტექნიკური რესურსი. სკოლის ბიუჯეტი | დირექცია-ადმინისტრაცია, მოსწავლეთა თვითმმართველობა | ნაწილობრივ შესრულდა | 2024 წლის მაისში ჩატარდა მოსწავლეთა ანონიმური გამოკითხვა, დანარჩენი სასკოლო საზოგადოების შემთხვევაში ასეEი ღონისძიება არ განხორციელებულა |
| | სკოლის პედაგოგების მზაობის ორგანიზება სსსმ მოსწავლეებისათვის საჭირო სერვისის მიწოდებასთან დაკავშირებით | მასწავლებელთა მხარდაჭერა ინკლუზიური განათლების მიმართულებით მათი მზარდი განვითარებისათვის | | | | | • | • | • | • | • | • | • | • | შემუშავებული ისგ თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად | სკოლის ინტელექტუალური რესურსი, მოწვეული სპეციალისტები | სკოლის ადამიანური რესურსი. პედაგოგიური საბჭო, კათედრების ხელმძღვანელები. | არ შესრულდა | მართალია სკოლაში არ ირიცხება სსსმ მოსწავლე, მაგრამ პერაგოგების განვითარება ინკლუზიური განათლების მიმართულებით აუცილებელია. ამ ეტაპისათვის მხოლოდ რესურსოთახია მოწყობილი |
| | კათედრების მუშაობის ხელშეწყობა-გაძლიერება | კათედრების მუშაობის ხელშემწყობი გარემოებების იდენტიფიკაცია. მიზნობრივი აქტივობების დანერგვა-განხორციელება | | • | | | • | • | • | | | | | | კათედრების ხელშეწყობის მექანიზმის ამუშავების პროდუქტი, მათი სამოქმედო გეგმების ჩათვლით | პედაგოგიური კოლექტივი, ადმინისტრაცია | პედაგოგიური საბჭო, კათედრები | შესრულდა | პედაგიური საბჭოს მიერ განხორციელებული ღონისძიებების(რის ფარგლებშიც გამოკითხული იქნა ყველა კათედრის ხელმძღვანელი და შემადგენლობა) შედეგად აღმოჩნდა, რომ საჭიროა უფრო ხშირად სამუშაო შეხვედრების ჩატარება, რომელიც ეხება მეთოდურ საკითხებს. აღნიშნულის გათვალისწინებით დაიგეგმა აქტივობები, კერძოდ, თვეში ერთხელ ხარისხის მართვის სპეციალისტთან ერთად აქტუალური საკითხების განხილვა, შედეგების გაცნობა პედაგოგიური საბჭოსათვის(სემესტრის ბოლოს ან საჭიროების მიხედვით). |
| მოსწავლეთა | სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისათვის პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობისათვის ფორმალური ბაზის შექმნა(მოსწავლეთა ინფორმირება და ხელშეწყობა) | სამიზნე ჯგუფების(საბაზო და საშუალო საფეხურზე) ინტერესებისა და შესაძლებლობების კვლევა და შედეგების ანალიზი | | | | | • | • | • | • | • | • | • | • | 1.იდენტიფიცირებულია მოსწავლეებისათვის სასურველი პროფესიები.2. სკოლას აქვს გეგმა მოსწავლეთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობასთან დაკავშირებით | სკოლის შიდა ადამინური და მატერიალური რესურსი | სკოლის დირექტორი | შესრულდა | საფეხურების მიხედვით, მოსწავლეთა თვითმმართველობის ჩართულობითა და კლასების დამრიგებლების მხარდაჭერით,საბაზო და საშუალო საფეხურზე ჩატარდა კვლევა სასურველი პროფესიების იდენტიფიცირების მიზნით. გამოკითხვის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე გამოიკვეთა რამდენიმე პროფესიული მიმართულება, რომლის დაუფლებასაც მოსწავლეები აპირებენ სამომავლოდ(დაწვრილებითი ინფორმაცია იხ.ნარატიულ ანგარიშის ნაწილში) |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **პროფესიული ორიენტაციის მიმართულებებში უკეთ გარკვევის მიზნით მამოტივირებელი არაფორმალური განათლების განვითარება** | წლიური სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავება მოსწავლეთა პროფესიული განათლების განითარებისათვის საჭირო აქტივობების გათვალისწინებით | სასკოლო კურიკულუმების შედგენისას მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის საკითხების გათვალისწინება | | | | | • | | | | | | | | მოსწავლეთა პროფესიულ განათლებას მორგებული სასკოლო კურიკულუმები | სკოლის ინტელექტუალური რესურსი | სკოლის პედაგოგიური საბჭო, კათედრები, საგნის მასწავლებელი | შესრულდა | 2024/25 სასწ.წლის სასკოლო გეგმაში გათვალისწინებულია პროფესიული სწავლების მიმართულება(საბაზოსა და საშუალო საფეხურზე). ამას გარდა, საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებულია აქტივობები გამოკვეთილ პროფესიულ მიმართულებათა მიხედვით(ვიზიტები და ექსკურსიები მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით) |
| | **მემორანდუმების გაფორმება პროფესიულ - საგანმანათლებლო დაწესებულებებთან.** | მოსწავლეთა ინტერესების სფეროების გათვალისწინებით, შესაბამისი პროფესიული სასწავლებლების მოძებნა და მათთან თანამშრომლობის მიზნით მემორანდუმების გაფორმება | | | | | • | • | | | | | | | გაფორმებული მეომორანდუმები და მათ საფუძველზე განხორციელებული აქტივობების დამადასტურებელი მასალები | სკოლის ადამიანური რესურსი | სკოლის დირექტორი | არ შესრულდა | სკოლამ განახორციელა საბაზო დასაშუალო საფეხურის მოსწავლეთა სამომავლო პროფესიული მიმართულებების კვლევა, მაგრამ ჯერჯერობით მემორანდუმი არ გაფორმებულა შესაბამისი პროფილის პროფესიულ სასწავლებლებთან |
| | სკოლის ტექნოლოგიური ბაზის სრული გადაიარაღება(სამუშაოთა დაწყება) | ტექნოლოგიური ბაზის გაძლიერების საჭიროებების დადგენა, დაგეგმვა, შესაბამისი შესყიდვების განხორციელება | | | • | • | | | | | | | | | სამუშაო პროცესი თანამედროვე სტანდარტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის | სკოლის ბიუჯეტი | სკოლის დირექტორი. დირექტორის მოადგილე ფინანსურ საკითხებში | შესრულდა | სამოქმედო გეგმის ფარგლებში გათვალისწინებული სამუშაოები შესრულდა სრული მოცულობით. მოეწყო ისტ-ის, საბუნებისმეტყველო საგანთა ლაბორატორიები(განახლდა ქიმიური საშუალებების ბანკი), ადაპტირებული სველი წერტილი. ყველა საკლასო ოთახი აღიჭურვა პროექტორით,თითქმის ყველა კლასში დამონტაჟდა მაგნიტური დაფა |
| | სპორტული მოედნის სრული რეაბილიტაცია და თანამედროვე მოთხოვნებისამებრ აღჭურვა | შესაბამისი კვალიფიკაციის სუბიექტის მოძებნა სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოების მიზნით | • | | | | | | | | | | | | სრულად აღჭურვილი სპორტული მოედანი | სკოლის ბიუჯეტი | სკოლის დირექტორი | შესრულდა | მოეწყო და შესაბამისი რესურსით აღიჭურვა თანამედროვე სტანდარტის სპორტული მოედანი |
| | სასკოლო ინვენტარის განახლება-შეძენა | სასკოლო ინვენტარის ვარგისიანობის გადამოწმება, მოძველებული და ამორტიზებული ინვენტარის ჩამოწერა. ახალი ინვენტარის სახეობებისა და ოდენობის დადგენა | | • | • | • | | | | | | | | | თანამედროვე დიზაინის სასკოლო ინვენტარით აღჭურვილი სკოლა(დაწყებული სამუშაო პროცესი) | სკოლის ადამიანური რესურსი და ბიუჯეტი | სკოლის დირექცია-ადმინისტრაცია | შესრულდა | ჩატარდა სასკოლო ქონების სრული ინვენტარიზაცია, გამოვლინდა სტანდარტთან შეუსაბამო, მოძველებული და გაცვეთილი ინვენტარი. სკოლის ფინანსური რესურსის გათვალისწინებით, 2024 წლის ზაფხულის განმავლობაში განხორციელდა ამორტიზებული ინვენტარის ახლით შეცვლის სამუშაოები. |
| | საბუნებისმეტყველო საგნობრივი ჯგუფის ლაბორატორიების (ფიზიკა-ქიმია-ბიოლოგია) შეძენა და ლაბორატორიისათ-ვის საჭირო ფართის რეაბილიტაცია | ფიზიკა-ქიმია-ბიოლოგიის ლაბორატორიის ამჟამად არსებული რესურსის ინვენტარიზაცია და მორალურად მოძველებული აღჭურვილობის ახლით ჩანაცვლება. ლაბორატორიის ფართის სრული რეაბილიტაცია | • | • | • | • | | | | | | | | | თანამედროვე სახის, გამართული ლაბორატორიის ქონა სკოლაში | სკოლის ბიუჯეტი | სკოლის დირექტორი. საბუნებისმეტყველო საგნობრივი კათედრა | შესრულდა | სკოლამ შეიძინა საბუნებისმეტყველო საგნობრივი მიმართულების ლაბორატორიები, განხორციელდა ლაბორატორიების ფართების სრული რეაბილიტაცია |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აღჭურვა | სკოლის ინფრასტრუქტურის სრული რეაბილიტაცია(სამუშაოთა დასაწყისი) | სკოლის შენობის შიდა ინტერიერის ეტაპობრივი რეაბილიტაცია | • | • | • | • | | | | | | | | | განხორციელებული სარეაბილიტაციო სამუშაოები(სამუშაო პროცესის დასაწყისი) | სკოლის ბიუჯეტი | სკოლის დირექტორი.ადმინისტრაცია | შესრულდა | დაიწყო სკოლის შიდა ინტერიერის სარეაბილიტაციო სამუშაოები(იმ მოცულობით, რაც განსაზღვრული იყო 2024/25 წ.წ. სამოქმედო გეგმით) |
| | სსსმ მოსწავლის/მოსწავლეებისათვის ადაპტირებული გარემოს შექმნა | პანდუსის რეაბილიტაცია. ადაპტირებული სველი წერტილის მოწყობა. რესურსოთახის მოწყობა | • | • | • | • | | | | | | | | | სკოლაში ფუნქციონირებს ადაპტირებული სველი წერტილი და კეთილმოწყობილი რესურსოთახი | სკოლის ბიუჯეტი | სკოლის დირექტორი.ადმინისტრაცია | შესრულდა | მოეწყო პანდუსი და ადაპტირებული სველი წერტილი(იმ მოცულობით, რაც განსაზღვრული იყო 2024/25 წ.წ. სამოქმედო გეგმით) |
| | სამედიცინო კაბინეტის პერიოდული შევსება პირველადი დახმარებისათვის აუცილებელი პრეპარატები თა და ინვენტარით | სამედიცინო კაბინეტის საჭიროებათა დადგენა შესაბამისი ინვენტარის და პირველადი საშუალებების შეძენის მიზნით | • | • | • | • | • | | | | | | | | სკოლაში ფუნქციონირებს სრულად აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი | სკოლის ბიუჯეტი | სკოლის დირექტორი | შესრულდა | სამედიცინო კაბინეტი სრულად აღიჭურვა ყველა საჭირო რესურსით |
| | სასწავლო რესურსებისა და საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდის განახლება და შევსება | 1.ბიბლიოთეკის აღჭურვა სასკოლო(გრიფირებული) სახელმძღვანელოებით და ელ.რესურსით.2.თანამედროვე მხატვრული ლიტერატურის შეძენა და ფონდის განახლება | | • | • | • | • | • | • | • | • | • | • | • | სრულად აღჭურვილი ბიბლიოთეკა(განახლებული წიგნადი ფონდი, კეთილმოწყობილი გარემო) | სკოლის ბიუჯეტი | სკოლის დირექტორი, ბიბლიოთეკარი, კათედრები | ნაწილობრივ შესრუ | განახლდა საბიბლიოთეკო ფონდი, კერძოდ: შეძენილი იქნა გრიფირებული სახელმძღვანელოები(როგორც ქართულ, ისე რუსულ ენაზე), ასევე, სკოლამ შეიძინა გეოგრაფიული რუკები |
| | საკლასო ოთახების თვალსაჩინოე ბითა და სხვა საჭირო ინვენტარით აღჭურვა, საგანმანათლე ბლო ელექტრონუ ლი რესურსების მოძიება/გამო ყენება | კათედრების მიერ, საგნების სწავლებასთან დაკავშირებული თვალსაჩინოებების და სხვა რესურსების საჭიროებათა ოდენობისა და სახეობების თაობაზე მონაცემების წარმოდგენა | | • | • | • | • | | | | | | | | თვალსაჩინოებებითა და ელ.რესურსით აღჭურვილი საკლასო კაბინეტები | სკოლის ბიუჯეტი | სკოლის დირექტორი, პედაგოგიური საბჭო,კათედრები | შესრულდა | საკლასო ოთახებში განახლდა ინვენტარი(სკოლამ შეიძინა მერხები, მაგნიტური დაფები), ყველა კაბინეტისათვის შეძენილი იქნა თვალსაჩინოებები,კომპიუტერები, პრინეტერები, ასევე, ყველა საკლასო ოთახი აღიჭურვა პროექტორით. სპორტის გაკვეთილებისთის შეძენილი იქნა სავარჯიშო ლეიბები |